

საბრძოლველ

ეროვნული
ბიზნისი

საერთოული გაზეთი

სუთუაბათი 3 ივნისი 1999 №102 (875)

ფასი 50 თეთრი

საბრძოლველ
1999
102

2 ბერძნები დღეს გვეუფებიან

ქეცბაია ახალ
თანაგუნდელ დაბიზასს
შეხვედბა, ძველს,
ნიკოლაიდისს კი ვერა

4 ცოტა ქალბუნებ ვილაპარაკოთ



ფეხბურთი ნორვეგიაშიც
პირველია

8 რომაში ცვლილება: ზემანის ნაცვლად კაკელი

15 გუბას გოგომ ცრემლი ღვარა



ირაკლი ლაბაძე
მეოთხედფინალშია

ზაზა ჯანაშია: მე ვინ გადამაკეთებს?!



ზაზა ჯანაშიამ სანაკრებო ბუცები დიღმის ბაზის საკიდურზე დატოვა

გუშინ დიღმის ბაზაზე გამართულ ვარჯიშს მაცურებელი კანტი-კუნტად ადევნებდა თვალს. განა იმიტომ, რომ ხალხს აღარ აინტერესებს ეროვნული ნაკრების სამზადისი, არა, მთავარი მწვრთნელის, იოჰან ბოსკამპის თქმით, ზედმეტი ფუსფუსი მხოლოდ ვნებთ ფეხბურთელებს და ბაზაზე რომ მოხვდე, უურნალისტობასთან ერთად დიდი მარიფათიცაა საჭირო.

საქართველოს ეროვნული ნაკრები ნამდვილად ხატზე გადასცა ვილაძემ. ეს ბოლო დროა, ვერა და ვერ ნამოინია გუნდმა, არა და არ ეტყობა წინსვლა და სასიკეთო პირი. თითქოს პრობლემები გვაკლდა, ახლა ყველაფერს ბოსკამპ-ზაზა ჯანაშიას კონფლიქტიც ზედ დაერთო. მწვრთნელმა ჯანაშია გუნდიდან მოკვეთა და სანამ ნაკრებში ვიქნები, ეგ აქ აღარ ითამაშებსო — განაცხადა.

ნამეტანი კატეგორიულობა ხომ არაა: შინდისფერების შემადგენლობა ისედაც შესუსტებულ-დაკნინებულა და ჯანაშიას გუნდიდან გაძევებამ უარესად დაასხა ცეცხლზე ნავთი.

თვითონ ზაზა ჯანაშია აქამდეც მოსკოვს გვეგონა გამგზავრებული, მაგრამ ის იყო, გუშინ ნაკრები ვარჯიშს ამთავრებდა, იგი დიღმის ბაზაზე შემოვიდა და, ბუნებრივია, ჩვენი ყურადღების ცენტრშიც მოექცა.

ზაზა საერთოდ ლალი კაცია, მაგრამ ამჯერად არაფერი ეცხო სილაღისა. ვისაც მოთამაშის ფსიქოლოგია ცოტათი მაინც ესმის, იგი მიხვდება — ტაში და საკუთარი ხალხის წინაშე თამაში ფეხბურთელისთვის ბევრს ნიშნავს, მით უმეტეს, თუ იგი უკვე აღიარა ხალხმა. ჯანაშიას სანაკრებო კარიერა წინააღმდეგობრივია, იგი ჯერ „ხომალდიდან პირდაპირ მეჯლისზე“ მოხვდა და სათადარიგო მოთამაშისაგან ნაკრების ლიდერად იქცა, 1 ივნისს კი მწვრთნელმა გუნდიდან გააძევა.

მიზეზი? მიზეზი თავად ზაზამაც იცის და მისახვედრსაც ხვდება, მაგრამ...

ზაზა ჯანაშიას საპროტესტო მონოლოგი იხილეთ მეორე გვერდზე

ვინ არის ფოსხვერია? ბაიკვირვა ბოსკამპმა

იხილეთ მეორე გვერდი

ოსლოდან დაბრუნებულმა იოჰან ბოსკამპმა გუშინ პირველი პრესკონფერენცია გამართა. თან ნაკრების დეპიუტანტი ოთარ ხიზანეიშვილი და კაპიტანი გიორგი ნემსაძე იახლა.



იოჰან ბოსკამპის პრესკონფერენციის დიდი ნაწილი ზაზა ჯანაშიას საკითხის გარკვევას დაეთმო

გურამ დოღვაშვილის ფოტო

ბადრი კითილაშის ფოტო



ნიკოლოზ დერიუგინთან (მარცხნივ) და ვლადიმერ სტეფანიასთან ერთად ვარჯიშისა და სურათის გადაღებას ყველა ყმაწვილი ისურვებდა

ნბა-ში ნათამაშევი პირველი სეზონის შემდეგ გუშინინ თბილისში ჩამოსული ვლადიმერ სტეფანია გუშინ მისი სახელობის ბავშვთა საკალათბურთო აკადემიას ესტუმრა...

ბედად, მარაბაკი ჰყავთ

2 ივნისი თბილისი 28 ვერის ბაღი ტარი 72:80 მსხ

2 ივნისი თბილისი 27 ვერის ბაღი ტარი 72:79 სანუ

სიტყვის კაცი გამოდგა 35-ე ტურის საუკეთესო კალათბურთელი, მაკაბელი დავით ბერიშვილი...

მართლაც, დავით ტყუპისცალ ირაკლისთან ერთად მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო...

ტყუპისა და ფერიაშვილის აქტიური თამაშის შედეგად პირველი ნახევრის მეათე წუთამდე თამაში „მაკაბის“ უპირატესობით მიმდინარეობდა...


პირველი ტაიმისაგან განსხვავებით, სტუდენტები შესვენების შემდეგ უფრო მოტივირებულნი ჩანდნენ...

როსანდ ლაზუჩიძე

აჯანყდა იუინგს ღრიალი

ინდიანა — ნიუ იორკი 1:1

1 ივნისი ინდიანა 88:86 ნიუ იორკი ინდიანა: ჯექსონი (17 ქულა, 8 პასი), მილერი (16), მულენი (4), დევისი (15)...




ინდიანა — ნიუ იორკი. სტუმარი ლარი ჯონსონის (№2) სლალომი კრის მულენისა (მარცხნივ) და რეჯი მილერის (№31) შორის

ეული მარცხი იყო. ამიტომაც ინდიანელი „მარდები“ მატჩის დაწყებისთანავე გაშმაგებით ეკვირნენ მეტოქეებს...

მოთამაშეები სწორად ჯარიმდებოდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი ხვედებოდა ინდიანას ლიდერ რეჯი მილერს...

აქ ნიუ იორკს ბოლო წამები აშკარად ჩაუვარდა. ჯერ შეტევაში დაკარგეს ბურთი სტუმრებმა და მერე დაცვაში ეუხეშნენ მილერს...

ლიბის მოგაგალი თეთრია!



ახალბედათა პირველი ხუთეული: ვინს კარტერი, პოლ პირსი, ჯეისონ ვილიამსი, მაიკ ბიბი, მეტ ჰარპრინგი

პროფესიული საკალათბურთო ასოციაციის 29 კლუბის მწვრთნელებმა დაასახლეს სეზონის ახალბედათა პირველი და მეორე ხუთეულები...

კალთა პერონის ჩემპიონატი (პოლონეთი) A ჯგუფი

კალთა პერონის ჩემპიონატი (პოლონეთი) B ჯგუფი

საქართველოს ჩემპიონატი მეექვსე ტური

უფროს-უმცროსი რკინიგზებზე

ლოკოტივი 2 — ლოკოტივი 1 33:63 (12:34)

უფროს-უმცროსი რკინიგზელები ნამდვილად არ იყვნენ საბრძოლველად განწყობილნი...

ბაჩო სვანიძე

კალტურ — იბერიული ფინალი

ბერძანიაში, ჰაიდელბერგის საშვილკაცო ტურნირში წარმატებული ასპარეზობის მერე...

პირველ მატჩში უელსელთა რვა ქულით ძლიერად დაამარცხებდა არ უნდა გასჭირვებოდათ...

მეორე მატჩში უელსელთა რვა ქულით ძლიერად დაამარცხებდა არ უნდა გასჭირვებოდათ...

მეორე მატჩში უელსელთა რვა ქულით ძლიერად დაამარცხებდა არ უნდა გასჭირვებოდათ...

მეორე მატჩში უელსელთა რვა ქულით ძლიერად დაამარცხებდა არ უნდა გასჭირვებოდათ...

ბაბა თოთაძე



ბრაზილიელი ივან რაიზენდო პინეირო (ბურთით) ეგვიპტელებს უტეხს

პირველად სამხრეთის ზონაში

ეგვიპტეში ხელბურთის უძლიერეს ნაკრებებს მოუყრიათ თავი, რათა მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონატზე საუკეთესო შორის საუკეთესო გამოავლინონ...

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მსოფლიოს ჩემპიონატის საზეიმოდ გახსნის შემდეგ მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა...

ნანა შატაბიშვილი

ტბილისის კაპიტონ ნაჭყებიას სახელობის სახელმწიფო იპოდრომზე

ამ დღეებში დაბრუნდებითა გადასახლებაში საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატი გაიმართა...

პირველობა რომ ჩატარდა, ეს მთლიანად თანამედროვე ხუთჯიდასა და ცხენოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის, სასახლევო ჯარების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის — თენგიზ აბულაძის დამსახურებაა...

აბულაძე — ფედერაციისთან ერთად მადლობა ეკუთვნის იპოდრომის კოლექტივს და მის დირექტორ ლამა ჯაანს...

პირველობა სამ ეტაპად ჩატარდა. აბსოლუტური ჩემპიონი სამივე ეტაპის შედეგების შეჯამებით გამოვლინდა...

შეჯიბრების პირველ დღეს „გახსნის პრიზზე“ საუკეთესოები ესენი იყვნენ:

გიორგიმ და „პაბიმ“ ერთმანეთს გაუბუს



როინ მარგიანი (განათლების სპორტ-სკოლა), ირაკლი ნარმანი (ოჩამჩირე), გიორგი სამხარაძე (იპოდრომი)...

გადასახეს დაბრუნდებიან, მაგრამ გიორგიმ და მისმა „პაბიმ“ უფრო იმარჯვეს...

აბსოლუტური ჩემპიონი კი გაირკვა, მაგრამ მესამე ეტაპის გამარჯვებული მანც უცნობი იყო...

აბსოლუტური ჩემპიონობა 17 წლის გიორგი სამხარაძემ მოიპოვა 24 ქულით...


ირაკლი თაყაიძე

ჩიპო: პოპი? არა, გეგდლობი

იტალიელ პეპელათაგან ყველაზე ცნობილმა და ტიტულოვანმა მარო ჩიპოლინიმ „ჯიროს“ მე-17 ეტაპი მოიგო...

1989 წელს უმარჯვია და მაშინაც 1 იენისი ყოფილა. „ჩემთვის „ჯიროს“ დღეს დამთავრდა...

Table with 2 columns: Rank, Name, and Points. Lists the top 5 riders of the Giro d'Italia.



ფეხბურთი

**ფინალური ეტაპი
XIV ტური**

გაზალი 1:1 ლუცერნი
0:1 სეპანოვიჩი (39), 1:1 კანტალუბი (61)

ბრასოვი 5:0 ძამბაძე
0:1, 2:0 მავლაშვილი (20, 30), 3:0, 4:0 დე ნაპოლი (36, 55), 5:0 სერგეტოვი (77)

ლოზანა 2:5 სერვეტი
1:0 სელესტინი (9), 1:1, 1:2 ვურენი (13, 15), 1:3 პეტროვი (31, 3), 2:3 პანტელინი (37), 2:4 ვურენი (51), 2:5 პეტროვი (88)

სტ. გალენი 1:3 ციურიხი
0:1 კასტილიო (17), 0:2, 0:3 ნიჟინი (18, 54), 1:3 რიბერი (64)

**პალატოპოლი ეტაპი
ევროპის ჩემპიონატი**

კოლონეთი. 2 ივნისი
გერმანია 60:68 საფრანგეთი
სლოვაკია 53:64 ხორვატია
ლატვია 71:100 რუსეთი
გონი 69:99 ლიტვა
ჩინეთი 75:85 იუგოსლავია
კოლონეთი 80:71 იტალია

**საქართველო
ვაშთა
მსოფლიოს
ჩემპიონატი**

**მედიკატი.
2 ივნისი**

A ჯგუფი
ტუნისი 23:19 არგენტინა
დანია 20:19 მაროკო
ესპანეთი 34:24 ალჟირი

B ჯგუფი
გაბონი 28:21 ს. არაბეთი
გერმანია 34:25 კუბა

C ჯგუფი
ხორვატია 25:19 კუვეითი
უნგარი 34:25 ნიგერია
რუსეთი 35:27 ნორვეგია

D ჯგუფი
იუგოსლავია 43:25 ჩინეთი
შვედეთი 25:20 კორეა
საფრანგეთი 32:15 ავსტრალია



სისხლის აღება ურუბრულად



ორი ვარიანტი: ან ურუგვაის ნაგრებისა და იტალიური „ვენეციის“ ჭაბუკ შემტევ ალგარო რეკობას არასოდეს არაფერი გაუაწვრია და ასე ამიტომაც დაზარადა, ანაც ნაგრების არგენტინელ ექიმ ალესანდრო კოანს თითქმის სისხლის აღებისა არაფერი გაეგება... თუმცა აღბათ ისიც არაა გამორიცხული, ეგ ორივე ვარიანტი ერთდროულად სწორი რომ იყოს... მონტევიდეო. ურუგვაელთა საწვრთნელი ბაზა.

თვით დადოფალა...

ბანკლადეშის საკრიკეტო ნაკრები მსოფლიო კრიკეტის დიდსუფრაზე აქამდე მხოლოდ სტატისტიკისა და ჯამილოკიას როლს ვაბუღდებოდა. მაგრამ ამ ორიოდ დღის წინ იქაურმა ვეფხეებმა ინგლისში მიმდინარე მსოფლიოს თასზე ყოფილ ჩემპიონებს, პაკისტანელებს მოუგეს და მიღეთის პალატი ალტაცება და პატივისცემა მოიმკეს... ჰოდა, აბა დაველ ქომაგებს სახლებში რაღა გააჩერებდათ? ტაფელშემართულებმა დაკის ქუჩებს ღრიანცელით ჩამოუარეს... ამ დროს კი მათ კერებს ლონდონში, ბუკინგემის სასახლეში თვით ინგლისის დედოფალი მასპინძლობდა




ფიჯური სრიალი

პროფესიონალი მესერფინგენი თავიანთი ჩემპიონატის მეექვსე, ფიჯურ ეტაპზე შეყრილან... შეყრილან და ტალღებზე ისე გულიანად ნავერდობენ, ყველა შორიდან მაცქერალის მოწონებულნი... ფოტოზე კი მსოფლიოს მეორე ნომრის, ავსტრალიელი მიკ კემბელის ერთი ემზიანი ფანდი დაუჭერიათ.



რეპეტი, ძია...

ამ დიაკაცს, ფრენკ პულის, საბიბოლო მატჩების მსვლელობისას საჭოჭმანო მომენტების ვიდეოგამორებათა ცქერა ევალება... ავერ ამ კადრზე იგი ფლორიდელი კლიფ ფლოიდის ერთ შემოქმევას აკვირდება, ემანდ ჩასათვლელია თუ არა... ხოლო ლივის პრეზიდენტი ლონარდ კოლუმანი იცით რას ამბობს? რას და ეგ მედიატორებია თუ ვიღაც ოზრები, მაგათი შტატები უნდა გაუაქმოთ, არეუდარევის და ბუნტის მეტი თამაშისთვის არაფერი მოაკეთო.



სარბიელი
საერთოული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი უზრატ ზონცხვირია
დირექტორი ბიორბი ოძროშაძელი
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბუნიატია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულიასვილი, გიორგი ვაშაქიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვირა სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლამა გოდუაძე, დავით კოჭიბიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება ვიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ელენე ველუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახუაშვილი, ნინო კვდელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბაგის
ბაზარი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29